# საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

30 მარტს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIII ყრილობა.

ყრილობამ დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვა.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ნ. გ. ეგორიჩევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ე. შელესტი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ს. ტოლსტიკოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ს. გორიაჩევი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. მ. მაშეროვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. მჟავანაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 63 (3040) 31 მარტი, ხუთშაბათი. 1966 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


## ტელეტაიპი ცნობს!

◆ ჟენევა, 30 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონმა, მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა ტურნე შვეიცარიაში. ბოლო მატჩში იგი შეხვდა „ეტუალ-კარიუს“ და წააგო — 0:1.

### მეორე ფინალისტი

ხელბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე ფინალისტი გახდა ლაიპციგის ქალთა გუნდი, რომელმაც უნგრეთის „სპარტაკუსთან“ განმეორებითი მატჩი ფრედ (5:5) დაამთავრა. ორი შეხვედრის ჯამში იმარჯვეს გერმანელებმა — 15:9.







# პრესტიჟის მატჩი

საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერი, რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდი სეზონში ორ-სამ შეხვედრას თუ წააგებს ხოლმე. და ბოლოდროინდელი ტრადიციით, ლიდერის შემმუსვრელის როლში მუდამ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი გვევლინება. რას ნიშნავს ეს: ფატალურ დამთხვევას, თუ კანონზომიერებას, რომელმაც უკვე კარგა ხანია დაკარგა სენსაციის ხასიათი?

პირველი მარცხი, რომელიც ტტტ-მ ამ სამიოდე წლის წინათ განიცადა თბილისელებთან მატჩში, მართლაც მოულოდნელი გახლდათ და პრესამაც სწორედ ამგვარად შეაფასა თბილისელთა წარმატება. შარშან პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა კვლავ დაამარცხეს რიგელები. სპეციალისტებმა ამ გამარჯვებასაც ეჭვის თვალით შეხედეს, თუმცა თბილისის გუნდმა ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი დაიკავა.

წლევანდელი ჩემპიონატის I წრეში ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის დავა კვლავ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა. 9-ქულიანი სხვაობა (45:36); რომელსაც ჩვენმა კალათბურთელებმა ამ მატჩში მიაღწიეს, საფუძველს იძლეოდა გვეფიქრა, რომ ადრინდელმა მოულოდნელობამ უკვე კანონზომიერული ხასიათი მიიღო.

სპი თავისებური გუნდია, რომელიც არად აგდებს მეტოქის ჩინ-მედლებსა და მყვირალა ტიტულებს. შესაძლოა, ნაკლები სიძლიერის გუნდთან მან სუსტადაც ითამაშოს (გაიხსენეთ თბილისში ამას წინათ წაგებული მატჩი ნოვოსიბირსკის „დინამოსთან“), მაგრამ ლიდერთა წინაშე თრთოლვა მის ხასიათში არ არის.

და მაინც, ამ გუნდების გუშინწინდელ მატჩ-რევანშს მოსკოვში კალათბურთის სამყარო მოუთმენლად ელოდა. შეხვედრამდე ორივე გუნდს საშინაო ამბები მოგვარებული ჰქონდა: ტტტ-მ გაინაღდა „ოქრო“, თბილისის გუნდმა კი — „ვერცხლი“. მიუხედავად ამისა, ძველ მეტოქეთა შეხვედრას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვინაიდან იგი პრესტიჟის მატჩს წარმოადგენდა.

ბრძოლა ყოველმხრივ საინტერესო იყო. კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი, ამავე დროს, გათამაშების ნამდვილ გვირგვინად იქცა. სპეციალისტებისა და კომენტატორების საერთო აღიარებით, ასეთი დრამატული და ამაღელვებელი ფინალი ქალთა კალათბურთის ისტორიას არ ახსოვს.

შეხვედრის შედეგის გამოცნობა ბოლო წუთამდე შეუძლებელი იყო. თბილისის გუნდმა გამარჯვება მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე მოიპოვა. ერთადერთი ქულა, რომელმაც ვიცე-ჩემპიონს გამარჯვება და დიდი მორალური კმაყოფილება მოუტანა, ჯანელიძის „ნამუსზეა“. 59:58 — ასეთია ამ წარმტაცი და მწვავე ორთაბრძოლის შედეგი. რა კარგია, რომ ამ კოლექტივთა დავა მომავალშიც განახლდება და კალათბურთის გულშემატკივრებს კიდევ ბევრ სასიამოვნო წუთს განაცდევინებს.

ფოტოებზე, რომელთაც დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ, საბჭოთა კალათბურთის ლიდერთა სპორტული ცხოვრების ორი, ერთმანეთისაგან დაშორებული პერიოდია აღბეჭდილი. მარცხენა სურათი რიგელთა და თბილისელთა I წრის მატჩის ერთ მომენტს მოგვაგონებს (ლუგანსკის დარბაზში). კოვზირიძე (ბურთით ხელში) წარმატებით აგვირგვინებს თანაგუნდელთა შეტევას. ამაოა კროდერეს ნახტომი. ორი ცენტრალური თავდამსხმელის „დავას“ გულმოდგინედ ადევნებენ თვალს ჯაფარიძე, სმილძინია და ჯანელიძე.

დანარჩენი ორი სურათი რედაქციამ მოსკოვიდან გუშინ მიიღო. მარჯვენა ფოტოზე თქვენ ხედავთ გამარჯვებულთა კვარცხლბეკის პირველ და მეორე საფეხურებზე მდგარ კაპიტნებს — რიგელ ს. სმილძინიას და თბილისელ ნ. ჯაფარიძეს; ქვევით — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ცენტრში — გუნდის მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ძეკონსკი.

ფოტო ი. მორგულისისა და მ. ზარგარიანისა.

* * *

ჩემპიონატის ბოლო დღის დანარჩენი თამაშები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (როსტოვი) 57:50, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „უნივერსიტეტი“ (ტარტუ) 48:54, „პოლიტექნიკა“ (კაუნასი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 55:45, ასკ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 57:47, „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 44:37.

წლევანდელ ჩემპიონატში III საპრიზო ადგილი დაიკავა მოსკოვის „დინამომ“, რაც ამ ახალგაზრდა კოლექტივის დიდი მიღწევაა.

## ახალი ამბები

● მოსკოვი, 29 მარტი. დღეს პოლონეთს გაემგზავრნენ საბჭოთა ჭაბუკი კალათბურთელები, რომლებიც ამ ქვეყანაში ხუთ მატჩს გამართავენ, მათ შორის ერთს — პოლონეთის ჭაბუკთა ნაკრებთან. ეს იქნება კონტინენტის ჩემპიონატის წინ კარგი წვრთნა. ევროპის პირველობა კი აგვისტოში იტალიას ჩატარდება.

● მოსკოვი, 29 მარტი. დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ჭაბუკებში გუნდური პირველობა მოიპოვეს მოსკოველებმა. დანარჩენ ორ საპრიზო ადგილზე გავიდნენ ლიტვისა და სომხეთის კოლექტივები. გოგონათა შორის საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: 1. უკრაინა, 2. მოსკოვი, 3. ლიტვა.

# საქართველოს კალათბურთელი ჭაბუკები — პირველ ადგილზე

დნეპროპეტროვსკში დამთავრდა „ა“ კლასის ვაჟთა კოლექტივებთან არსებული ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება.

თბილისის „დინამოს“ სპორტსმენებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ავალიშვილი) ყველა შეხვედრა მოიგეს და დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი.

## ფედერაციის პლენუმზე

თბილისში ჩატარდა ტყვიით სროლის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი. ფედერაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკა ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა ა. ბაქრაძემ.

— საანგარიშო პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა, — გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს დ ა წვრთნის მატერიალური ბაზა, ამაღლდა სასწავლო მუშაობის ხარისხი და ტექნიკური შედეგები. ტყვიით სროლაში მოვარჯიშეთა რიცხვი გაიზარდა 10 ათასი კაცით. მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების შვიდწლიანი გეგმა ვადამდე — 1964 წელს შესრულდა, შემდეგ კი ზეგეგმით მომზადდა 22 სპორტის ოსტატი, 425 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების 24.424 სპორტსმენი. ახლა რესპუბლიკაში 93 მოქმედი სპორტის ოსტატია, რაც საშუალებას გვაძლევს ნაკრების 90 პროცენტი ოსტატებით დავაკომპლექტოთ.

შარშან ჩვენი მსროლელები პროფკავშირთა VIII საზაფხულო სპარტაკიადაში (VI ადგილი) და სსრ კავშირის პირველობაში (VIII ადგილი) მონაწილეობდნენ; მათ გამართეს მატჩი სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის II პრიზიორთან — უკრაინის ნაკრებთან და ყველა ზემოაღნიშნულ შეჯიბრებაში უკეთეს შედეგს მიაღწიეს, ვიდრე წინანდელ ანალოგიურ ტურნირებში.

საქართველოს გუნდი (მწვრთნელი თ. ხერხეულიძე) მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში III ადგილზე გავიდა. საგრძნობლად ამაღლდა მაჩვენებლები არმიული შაშხანით, „გაქცეულ ირემზე“, სამატჩო პისტოლეტით და ქალთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე სროლაში.

მწვრთნელების ი. გვირგვილიანის (ქუთაისი), შ. გუჯარელიძის (თბილისის განათლების განყოფილება), ა. ოგანეზოვის, გ. ბეგთაშევის, ვ. ევგრაფოვის („დინამო“), პ. ლეკიშვილის (დოსააფი), ა. რაჩკინის (სოხუმი) და სხვათა ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად გამოვლინდა ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი მსროლელი.

# მიზეზი: უხარისხო ინვენტარი და სასროლეთების სიმცირე

— მაგრამ, სამწუხაროდ, — განაგრძო ა. ბაქრაძემ, — ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. ტყვიით სროლის განვითარებისთვის რესპუბლიკაში მხოლოდ „დინამო“, არმიელთა სპორტული კლუბი და დოსააფი ზრუნავენ. სხვა სპორტსაზოგადოებები კი ამ მხრივ არაფერს აკეთებენ. არც არმიელთა სპორტკლუბშია ყველაფერი რიგზე. ჩვენი ნაკრების ძირითადი ბირთვია „დინამო“. საქართველოს 1965 წლის 180 უძლიერესიდან 90 დინამოელია (მათგან 9 — რესპუბლიკის ჩემპიონი), რეკორდების უმეტესობას დინამოელები ფლობენ. დოსააფმა შესამჩნევად გარდაქმნა მუშაობა თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში, მაგრამ ამ ორგანიზაციის საქმიანობა ბევრგან ჯერ კიდევ მოისუსტებს.

ტყვიით სროლის განვითარებას ძალიან აფერხებს ის, რომ ეს სახეობა ჯერ კიდევ ყველგან არ არის დანერგილი, საკმაო რაოდენობით არა გვყავს კვალიფიციური მწვრთნელები, ბევრგან არ გაგვაჩნია სასროლეთები, მაღალი ხარისხის თოფები და ვაზნები.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა: „დინამოს“ სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა ა. ოგანეზოვმა, არმიელთა სპორტკლუბის მწვრთნელმა ვ. ერმიშიანმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური ბავშვთა სპორტსკოლის უფროსმა მწვრთნელმა თ. ხერხეულიძემ, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსმა ინსტრუქტორმა ს. კლიმენკომ და ქუთაისის სასროლო სპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ ი. გვირგვილიანმა აღნიშნეს, რომ ჩვენი მსროლელები საერთაშორისო კლასს ჯერ კიდევ ჩამორჩებიან პისტოლეტით სილუეტებზე სროლასა და „გაქცეულ შველზე“ სროლაში.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისის აქედანვე გაჩაღების აუცილებლობას.

პლენუმის მონაწილეებმა ილაპარაკეს, აგრეთვე, საქართველოში მშვილდოსნობის განვითარების პრობლემებზე. აღინიშნა, რომ სპორტის ამ სახეობას ჩვენში ნაკლები ყურადღება ეთმობა და წარმატებისთვის, ცხადია, არ კმარა მხოლოდ ერთი ენთუზიასტის — შ. ჯაშიაშვილის (ქუთაისი) მოწადინება. სავაჭრო ორგანიზაციებს არ შემოაქვთ ხარისხოვანი მშვილდისრები. ყოველივე ამან განაპირობა ის სამარცხვინო ფაქტი, რომ საქართველოს გუნდმა სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში ბოლო ადგილი დაიკავა.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ.

სათანადო დადგენილების მიღების შემდეგ გაიმართა არჩევნები. ტყვიით სროლის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ა. ფინენკო, მოადგილედ — ვ. მათეშვილი, მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ — ა. ოგანეზოვი, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — თ. ხერხეულიძე. პლენუმმა მშვილდოსნობის კომიტეტის თავმჯდომარედ დაამტკიცა ა. მინდიაშვილი.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ნიჩბოსნობაში** — თ. გიუნაშვილს (თბილისის ასკ), ვ. კოჟევნიკოვს (რუსთავის „ბურევესტნიკი“), ჯ. ჩხეიძეს (თბილისის „ბურევესტნიკი); **მხატვრულ ტანვარჯიშში** — ქ. მალოიანს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **აკრობატიკაში** — გ. ჭელიძეს, ა. სლივკოვს (ორივენი — თბილისის „შრომითი რეზერვები“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ვ. გოგუას (ქუთაისის „შრომითი რეზერვები“), ე. ვალიევს (ცხინვალის „განთიადი“), ბ. გერსამიას (ბათუმის „დინამო“), დ. დუგლაძეს, ლ. კინწურაშვილს (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი“); **ფარიკაობაში** — ც. შენგელიას, გ. ცანავას (ორივენი—თბილისის „ბურევესტნიკი“), ო. მატინოვს (თბილისის „სპარტაკი“); **სახანძრო გამოყენებით სპორტში** — გ. ბუკიას (ფოთის „განთიადი“), რ. გობოზოვს (თბილისის „დინამო“), შ. მანჯავიძეს (ბათუმის „დინამო“), გ. კონტრიძეს (მახარაძის „კოლმეურნე“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაიკომის ბიურომ იმსჯელა

ახლახან კომპარტიის თერჯოლის რაიკომის ბიურომ განიხილა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხი.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ბარდუბნის საშუალო, სათემოს, ახალთერჯოლის, გოდოგნის რვაწლიან და ზედა სიმონეთის დაწყებით სკოლებში ბავშვთა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტულ მომზადებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ბარდუბნის საშუალო სკოლის 280 მოსწავლიდან სპორტულ სექციებში გაერთიანებულია მხოლოდ 87, ხოლო სათემოს რვაწლიანი საშუალო სკოლის 102 მოსწავლიდან — 58. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა დაწყებით კლასებში. სათემოს სკოლის I და II, გოდოგნის რვაწლიანი სკოლის დაწყებით და ზედა სიმონეთის დაწყებითი სკოლის ყველა კლასში ფიზკულტურის გაკვეთილებზე გვერდს უვლიან საპროგრამო მასალას. ამ სკოლების დირექცია და პარტიული ორგანიზაციები არ ზრუნავენ მარტივი ტიპის მოედნების მოწყობისა და სპორტული ინვენტარის შეძენისთვის, სრულიად უმეთვალყუროდ არის მიტოვებული სპორტული სექციების მუშაობა, არ მოწმდება ფიზკულტურის გაკვეთილების ხარისხი.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ბიურომ მიიღო დადგენილება.

ვ. კუტალაძე,
ს. ტალახაძე.

თერჯოლა.



ამას წინათ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დამთავრდა თბილისის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ახალბედებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ 1948-52 წლებში დაბადებულნი. შეჯიბრებაში 200 მდე სპორტსმენი გამოვიდა, რომელთა შორის ბევრმა კარგი ფიზიკური მომზადება და ახალბედათა კვალობაზე მაღალი ოსტატობა გამოავლინა.

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ბადალიანისა და თ. დულუზაშვილის შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

# რა საჭიროა ასეთი აჩქარება?

როგორც ვიუწყებოდით, ორჯონიკიძეში დამთავრდა სსრ კავშირის საუწყებათაშორისო გუნდური პირველობა სამბოში. გარდამავალი თასისთვის იბრძოდა 15 გუნდი, მათ შორის — საქართველოს 3 კოლექტივი („განთიადი“, „კოლმეურნე“, „სპარტაკი“).

არ გაუმართლათ „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ გუნდებს, რომლებიც ქვეჯგუფში ძლიერ მეტოქეებს წააწყდნენ. „კოლმეურნემ“ წააგო „დინამოსთან“ და „განთიადთან“, რის შემდეგ გამოეთიშა ტურნირს. იგივე ბედი ეწია „განთიადს“, რომელსაც გზა გადაუღობა საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტკლუბის ნაკრებმა.

„დინამოსა“ და ცსკა-ს ნახევარფინალური მატჩით ფაქტიურად გადაწყდა პირველობის ბედი. მძიმე წონის მოჭიდავეთა შერკინებამდე არმიელები იყვნენ წინ (4:3), მაგრამ ბოლო შეხვედრა წარმატებით ჩაატარა დინამოელმა ქიქნაძემ: დამაჯერებლად მოუგო საუნინს და ანგარიშიც გათანაბრდა —4:4. ქულათა უკეთესი შეფარდებით გამარჯვება „დინამოს“ მიეკუთვნა.

მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ლიდერს „ბურევესტნიკის“ ნაკრებმაც, რომლის შემადგენლობაში 4 ქართველი მოჭიდავე გამოდიოდა. მაგრამ „დინამომ“ ეს მატჩიც მოიგო (5:3), შემდეგ დაამარცხა „მოლდოვა“ და პირველობა გაინაღდა. საბოლოოდ, საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო“, 2. ცსკა, 3. „ბურევესტნიკი“, 4. „მოლდოვა“.

ჩემპიონატის მსვლელობაში სამართლიანი საყვედური გამოითქვა სამბოს ფედერაციის მიმართ, რომელმაც სახელდახელოდ, მოულოდნელად შეცვალა ჭიდაობის წესები. საქმე ის არის, რომ ამ ცოტა ხნის წინათ სამბოს წესებში ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა. სპორტსმენებმა მათი კარგად ათვისება ვერ მოასწრეს და აი, კვლავ ახალი ცვლილებები! თანაც, ეს სიახლენი შეჯიბრების მონაწილეებს მსაჯთა კოლეგიამ ჩემპიონატის წინდღით გააცნო. ცხადია, ასეთი გაუმართლებელი აჩქარების გამო ჩემპიონატის მსვლელობაში სერიოზულ შეცდომებს ჰქონდა ადგილი ბევრი მოჭიდავე უსამართლოდ დაიჩაგრა, მათ შორის ჩვენი თანამემამულე ა მარტყოფლიშვილი.

ქ. ნინიაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## ფინიშის წინ

თბილისის მოშაშეთა ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გათამაშებულია 13 ტური. ბოლო შეხვედრები უფერულად ითამაშე ოსტატმა თ. ბარამიძემ, რომელიც კარგა ხანს ლიდერობდა პირველობას. ამჟამად 11 ქულით დაწინაურდა ოსტატი ს. პახლაჯიანი. მას 1 ქულით ჩამორჩება პირველთანრიგოსანი გ. ციმბალისტი. ოსტატ თ. ბარამიძეს 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

პ. სერგიაშვილი.

## ცნობები კასპიდან

### გარდამავალ თასზე

მოჭადრაკეთა 10 გუნდი მონაწილეობდა რაიონის პირველობაში. უძლიერესი აღმოჩნდა კასპის ელექტროაპარატურის ქარხნის გუნდი, რომელსაც გადაეცა პრიზი. II ადგილი წილად ხვდა ცემენტის ქარხნის, ხოლო III — ფოსტა-ტელეგრაფის მოჭადრაკეებს.

### კალათბურთის ფარებთან

სამ დღეს მიმდინარეობდა რაიონის მოსწავლეთა პირველობა კალათბურთში. ასპარეზობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ 13 საშუალო სკოლის გუნდები. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. კასპის 1-ლი საშუალო სკოლა, II. კასპის მე-2 საშუალო სკოლა, III. სოფელ ზემო ხანდაკის საშუალო სკოლა.

### პლენუმმა იმსჯელა

ამას წინათ გაიმართა რაიონის სპორტკავშირის საბჭოს პლენუმი. მოხსენებით — „რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების მიზანი და ამოცანები სპარტაკიადის მომზადება-ჩატარების საქმეში“ — გამოვიდა სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. კიკაჩეიშვილი. პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ არც ერთი კოლექტივი არ უნდა დარჩეს უბაზებოდ და ადგილობრივი სპარტაკიადის ჩაუტარებლად.

მ. ჯანეზაშვილი.

# შემოქმედელები უჩივენ,

## ისე არ მომკლა...

შემოქმედელთა საშვილიშვილო თაოსნობის ამბავი მთელ საქართველოს მოედო. ჩვენც იმიტომ ჩავედით ამ ულამაზეს მხარეში, რომ მათი კეთილი საქმე საკუთარი თვალით გვენახა.

— ამჟამად ჩვენი მთავარი საზრუნავი ახალი სტადიონის მშენებლობაა, — მითხრეს მასპინძლებმა და მომავალი საასპარეზოსაკენ გამიძღვნენ.

ვეებერთელა მინდორს თანამედროვე მექანიზაცია „შესეოდა“, გრიალებდნენ ბულდოზერები და სატვირთო მანქანები. ერთი დარბაისელი, ჭაღარა კაცი განმარტოებით იდგა. ხან რაღაც ქაღალდს ჩაკირკიტებდა, ხან მუშებს გადასძახებდა, დავალებას აძლევდა.

— ვალერიან დუმბაძე, მეტსახელად ტოგო, — მისალმებისთანავე გამეცნო მოხუცი და მომავალი სტადიონის პროექტი გაშალა.

— თქვენ ამ სპორტული სარბიელის მშენებელი ინჟინერი ხართ?

— მშენებელი ინჟინერი, — ღიმილით გაიმეორა ჩემი შეკითხვა დამხვდურმა და...

... ეს იყო 1920 წელს. მაშინ ჩვენი ოჯახი ნოვოროსიისკში ცხოვრობდა. ახალგაზრდები ფეხბურთით ვიყავით გატაცებული. ჩამოვაყალიბეთ პოდვოისკის სახელობის სპორტკლუბი და როგორც თაოსანი, თავმჯდომარედ ამირჩიეს. საქართველოში რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბათუმში გადმოვსახლდი ოჯახთან ერთად. სპორტსმოწყურებულს უქმად რა გამაჩერებდა და თავი ამოვყავი ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებში, რომელთაც ყველასათვის ცნობილი გიორგი მერკვილაძე ხელმძღვანელობდა. ბევრი სასარგებლო ჩვევა მივიღე მათთან მეცადინეობით. მალე ოზურგეთში გადავედი საცხოვრებლად. აქაურმა ახალგაზრდებმა სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკი“ ჩამოვაყალიბეთ. მე ტანვარჯიშული ჯგუფის ხელმძღვანელობა დამაკისრეს. შემდეგ ჩაქვში ვმუშაობდი მასწავლებლად და მაინც ჩემი სოფლისკენ — შემოქმედისკენ მომიწევდა გული. არდადეგები დადგებოდა თუ არა, მეც აქეთკენ გამოვწევდი.

ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფასი დღეები. სოფელში ახალგაზრდებს რა გამოლევდა! და როცა ჩემი გულისნადები გავანდე—ფეხბურთის გუნდი ჩამოვაყალიბოთ-მეთქი, — ყველამ მხარი დამიჭირა.

უნდა გენახათ, რა ზღვა ხალხი, ფეხბურთის თამაშის რამდენი მსურველი მოაწყდა ჩვენს ახალშექმნილ გუნდს. უძლიერესებმა თავიანთი კანონიერი ადგილი დაიკავეს, დანარჩენებმა წაგვბაძეს და გაჩაღდა ერთი ბათქაბუთქი.

გვქონდა „საერთაშორისო“ შეხვედრები ბათუმის, ფოთის, მახარაძის ფეხბურთელებთან. ჩვენი გუნდი ისე დაოსტატდა, რომ რაიონის ჩემპიონობაც კი გაინაღდა. რამდენიმე წლის შემდეგ შემოქმედში დავსახლდი, საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა და ჩვენი სოფლის ახალჩამოყალიბებულ კოლმეურნეობაში ფეხბურთელთა გუნდს, ახლა რომ ამბობენ საზოგადოებრივ საწყისებზეო, ისე უსასყიდლოდ ვწვრთნიდი.

ლელობურთსაც დიდი გატაცებით ვთამაშობდით. ისე კი არ იყო, ახლა რომ არის, — საქართველოს პირველობაში თითო-ოროლა გუნდი რომ მონაწილეობს და ლელობურთის სექციები სანთლით საძებარია. მეზობელ სოფელთან რომ გვქონდა შეხვედრები, მთელი შემოქმედი ავიყრებოდით. მახსოვს, ერთხელ მერიის მინდორზე იყო დანიშნული ასპარეზობა. ასკაციანი გუნდით ჩავედით. დამხვდურები ორჯერ მეტნი იყვნენ, მაგრამ სიტყვა აღარ გავტეხეთ და თამაში დავიწყეთ. ცხარე, საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა. იქვე რკინიგზა გადიოდა. მატარებელმა ჩამოიარა, გაჩერდა, რამდენიმე



საქართველოში მუდამ გვყავდა შესანიშნავი ბრასისტები, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდნენ და წარმატებით იცავდნენ ჩვენი ქვეყნის ღირსებას საერთაშორისო შეჯიბრებებში. აი, დღესაც, ამ სტილით ცურვაში ა. ტუტაკაევი მხოლოდ ლვოველ გ. პროკოპენკოს თუ ჩამორჩება.

კვლავაც კარგი მოცურავეები იზრდებიან თბილისში. ერთი მათგანია სპორტის ოსტატი, 20 წლის ვ. პესტერიოვი. დინამოელი ჭაბუკი ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნაკრებშია და ენერგიულად ემზადება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. პესტერიოვი წვრთნის დროს.

ფოტო ა. სააკოვისა.

# საქართველოს პირველობა

გაიმართა II ტურის მატჩები.

### I ზონა

● „ფეიქარი" (წულუკიძე)—„მექალალდე" (ზუგდიდი) 4:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

● „დინამო" (სოხუმი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 1:1. მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

● „განთიადი" (ბორჯომი)—„ქართლი" (გორი) 1:0. მსაჯი ა. კილაძე (თბილისი).

შეხვედრის დასაწყისში იგრძნობოდა ფეხბურთელთა ნერვიულობა და ზედმეტი ინდივიდუალური თამაში. მხოლოდ მოგვიანებით შეძლეს ბორჯომელებმა ინიციატივის ხელში აღება და გაიტანეს კიდეც გადამწყვეტი გოლი—1:0. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში იყო ლაპარაკი ბორჯომელ ფეხბურთელთა მხრივ დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე. გუნდმა, სამწუხაროდ, სწორი ანალიზი ვერ გაუკეთა ამას და ცალკეული მოთამაშეები კვლავ არღვევენ წესრიგს. მაგალითად, „განთიადის" თავდამსხმელმა პეტროსიანმა ჩხუბი ატეხა გორელ ხაჩიროვთან, რისთვისაც ორივენი გაძევებულ იქნენ მინდვრიდან. ეს ინციდენტი ამ გუნდების ხელმძღვანელების მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

● „ისანი" (თბილისი)—„მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

პირველი ტაიმის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება და „მეტალურგის" თავდამსხმელების აქტიური მოქმედებანი გოლით დაამთავრა სხილაძემ.

● „ირისტონი" (ცხინვალი)—„სინათლე" (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში. ინიციატორები იყვნენ ცხინვალელები, რომლებიც ხშირად უტევდნენ მეტოქის კარს. გოლის ავტორი აღმოჩნდა მარგიევი, რომლის დარტყმამ „ირისტონს" გამარჯვება მოუტანა. სტუმრებმა ვერ გამოიყენეს „სინათლის" კარში დანიშნული პენალტი.

### II ზონა

● „დინამო" (ქუთაისი)—„ბახმარო" (ჩოხატაური) 2:2. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

ხშირი ორმხრივი იერიშების შემდეგ ჩოხატაურელმა ფიოდოროვმა გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ გუმბერიძემ გაქვითა გოლი. დარჩენილ დროში ყველაფერი თავიდან გამეორდა: ფიოდოროვმა გაიტანა მეორე გოლი და გუმბერიძემ კვლავ აღადგინა წონასწორობა.

● „მეშახტე" (ტყვარჩელი)—ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში არმიელებს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ თავდამსხმელები უხეიროდ ურტყამდნენ კარში. შესვენების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და იერიშზე ახლა მეშახტეები გადავიდნენ. არმიელთა გუნდი დამარცხებისგან იხსნა მეკარე გორგოშიძემ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა)—„ლოკომოტივი" (სამტრედია) 4:0. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

მატჩის ბედი წალენჯიხელებმა არსებითად პირველ ტაიმში გადაწყვიტეს, როცა 4 გოლი გაიტანეს მეტოქის კარში.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)—„მერცხალი" (მახარაძე) 3:4. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

სტუმრები დაწინაურდნენ უკვე დასაწყისშივე, სალუქვაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ. ეს გოლი მალე გაქვითულ იქნა, მაგრამ სალუქვაძემ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი—2:1. შესვენების შემდეგ „მერცხალმა" ანგარიში აიყვანა 4:1-მდე და თუმცა სტუდენტებმა შეძლეს 2 საპასუხო ბურთის გატანა, გამარჯვება სტუმრებს დარჩათ.

● „ნარინჯი" (ბათუმი)—„კოლხეთი" (ცხაკაია) 2:4. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

● „შუქურა" (ქობულეთი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

თამაში დაიწყო ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, სწრაფ ტემპში. 31-ე წუთზე მღებრიშვილი კარგად გავიდა მოწინააღმდეგის მცველებს შორის და გაიტანა გოლი. შემდგომში „გურიას" ჰქონდა გოლის გატანის 2 ნაღდი შესაძლებლობა, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა და დამარცხდა.

ფეხბურთი

# იუნიორები ემზადებიან

3 აპრილს სსრ კავშირის იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრებს ოფიციალური შესარჩევი მატჩი აქვს უეფა-ს პირველობაზე რუმინეთის ნაკრებთან. ეს თამაში შედგება კიშინიოვში, ხოლო განმეორებითი შეხვედრა — 10 აპრილს, ბუქარესტში.

როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა ჭაბუკი ფეხბურთელები ამ დღეებში კიშინიოვში შეხვდნენ ბულგარელ კოლეგებს და გაიმარჯვეს — 1:0. საბჭოთა გუნდში თამაშობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები შერგელაშვილი, ჭოხონელიძე და მიქაშავიძე. გუნდის ძირითად შემადგენლობას აკლდა ქუთაისელი გ. ნოდია.

# როცა მეტოქე ხელს გიშლის

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილენი ძალასა და უნარს არ იშურებენ, რათა წარმატებული სპორტული პაექრობის პარალელურად შექმნან ღრმაშინაარსიანი, შემოქმედების თვალსაზრისით სანიმუშო პარტიები. მაგრამ უფრო ხშირად მათი ეს წადილი ამაოა. ა. ალიოხინი ამბობდა, რომ ნამდვილი მხატვრული ნაწარმოების შექმნაში ხელს გიშლის... მეტოქე. იგი ცდილობს გააცამტვეროს შენი ღრმა ჩანაფიქრი თუ მოხდენილი მანევრი. ყოველი პარტია მოჭადრაკეთა ცოდნის და გამოცდილების გარდა, არის ხასიათთა ბრძოლის ამსახველიც.

ეს ითქმის ქვემომოყვანილ რამდენიმე პარტიაზეც, რომლებიც VI-X ტურებში გათამაშდა.

### მ. ჩაგუნავა — ნ. ალექსანდრია

ამ პარტიაში მთავარი ბრძოლა ეტლების ენდშპილში მიმდინარეობს. თეთრები მოგებისკენ მიილტვიან და გზადაგზა უსწოროდ თამაშობენ — უსაფუძვლოდ იჭრებიან მეტოქის ბანაკში. მოჭადრაკე გოგონა ოსტატურად იყენებს ჩაგუნავას შეცდომებს.

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 a6 5. მc3 ლc7 6. კe2 მc6 7. კe3 b5 8. 0—0 კb7 9. f4 კc5 10. ლd2 მf6 11. e5 მ:d4 12. კ:d4 მe4 13. მ:e4 კ:e4 14. c3 0—0 15. ეad1 ეfd8 16. კ:c5 ლ:c5+ 17. ლd4 ლ:d4 18. ე:d4 კc6 19. კf3 მფf8 20. მფf2 მფe7 21. ეd6 ეa7 22. ეfd1 კ:f3 23. gf ეc8 24. ეb6 ეc5 25. ეg1 g6 26. ეd1 f6 27. ef+ მფ:f6 28. ე1d6 a5 29. ეd4 a4 30. ეb4 a3 31. ე6:b5 ეcc7 32. ეe4 ab 33. ე:b2 ე:c3 34. ე4b4 ეaa3 35. ე4b3 ე:a2 36. ე:a2 ე:b3 37. ეa7 ეh2+ 38. მფg3 ეd2 39. ეa8 ეb2 40. ეa7 მფe7 41. h3 ეb5 42. მფg4 ეf5 და თეთრები დანებდნენ.

### თ. ლომაია — თ. გიორგაძე

კომბინაციამ, რომელიც თამაზ გიორგაძემ განახორციელა, მისი იერიშის ლოგიკური ფინალია. ამ პარტიაში თეთრებმა „ხელი შეუწყეს" შავების ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

მიღებული ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. მf3 მf6 4. e3 e6 5. კ:c4 c5 6. 0—0 a6 7. ლe2 b5 8. კd3 მbd7 9. a4 b4 10. ეd1 კb7 11. b3 cd 12. მ:d4 კe7 13. მd2 0—0 14. კb2 მc5 15. კc2 ლd5 16. f3 ლg5 17. მc4 ეac8 18. e4 ეfd8 19. კc1 ლh5 20. კe3 მfd7 21. ლe1 მe5 22. მa5 კa8 23. ლ:b4 კd6 24. ლe1 მg4 25. fg ლ:h2+ 26. მფf1 მ:e4 27. კ:e4 კ:e4 28. ლe2 ეc3 29. კg1 ლf4+ 30. კf2 ეg3 31. მf3 ე:g2 32. მფ:g2 ლ:g4+ 33. მფf1 კf3 34. ლc4 კg2+ 35. მფe1 კb4+ 36. ეd2 კ:d2×.

### ბ. გურგენიძე — თ. ლომაია

აი, ზოგჯერ როგორ ცდებიან მაღალი კლასის ოსტატებიც! პარტიაში მკაფიოდ ჩანს მეტოქეთა განწყობა. პარტიის შედეგი გადაწყვიტა დებიუტში გურგენიძის უზუსტო თამაშმა.

შოტლანდიური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. d4 ed 4. მ:d4 მf6 5. მ:c6 bc 6. e5 ლe7 7. ლe2 მd5 8. c4 კa6 9. b3 0—0—0 10. ლb2 მb6 11. კe3 ეe8 12. მd2 ლ:e5 13. ლ:e5 ე:e5 14. 0—0—0 c5 15. მf3 ეe8 16. კd3 g6 17. მg5 f5 18. ეhe1 d6 19. h4 h5 20. მh3 მd7 21. კg5 მe5 22. კc2 კe7 23. მf4 კ:g5 24. hg მფb8 25. ე:e5 de 26. მ:g6 ეhg8 27. კ:f5 კc8 28. კc2 e4 29. მf4 ეg5 30. g3 e3 31. fe ე:e3 32. კg6 ე:g3 33. მ:h5 ე:g6 34. მ:g3 ე:g3 35. ეd5 ეg2 36. მფb1 ეf2 37. ე:c5 კd7 38. ეg5 კf5+ 39. მფc1 მფb7 40. a3 a5 41. ეh5 მფb6 42. ეg5 მფc5 43. მფd1 მფd4 44. მფe1 ეf4 თეთრები დანებდნენ.

### ბ. გურგენიძე — ე. უბილავა

როგორც ჭეშმარიტი მებრძოლი, გურგენიძე ყველას უკომპრომისოდ ეთამაშება. იგი ამჯერადაც ამწვავებს ბრძოლას, მაგრამ უბილავამ გამოცდა „სიმწიფეზე" კარგად ჩააბარა.

რეტის დებიუტი

1. მf3 მf6 2. b3 d5 3. e3 კf5 4. კb2 e6 5. კe2 h6 6. 0—0 კd6 7. მe5 0—0 8. d3 მbd7 9. f4 c6 10. ლe1 ლb8 11. მ:d7 მ:d7 12. მd2 ლd8 13. e4 კh7 14. მფh1 კe7 15. ლg3 კf6 16. e5 კe7 17. კg4 მc5 18. მf3 a5 19. მd4 f5 20. ef კ:f6 21. მ:e6 მ:e6 22. კ:e6+ მფh8 23. კe5 ლe7 24. f5 კ:e5 25. ლ:e5 ეae8 26. ეae1 კg8 27. ეf3 ეf6 28. ეfe3 ლf8 29. h3 კ:e6 30. fe ე:e6 31. ლ:e6 ე:e6 32. ე:e6 ლa3 33. ეe8+ მფh7 34. ე8e7 ლ:a2 35. ე:b7 ლ:c2 36. ე1e7 ყაიმი.

თ. გიორგაძე.

# ამიერკავკასიის რკინიგზის...

გაზაფხულის არდადეგების დღეებში თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში. ასპარეზობაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა, მონაწილეობდა 44 ჭაბუკი და 20 გოგონა.

ვაჟებში ჩემპიონის სახელი მოიპოვა ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტული სკოლის აღსაზრდელმა, პირველთანრიგოსანმა მ. აივაზიშვილმა (თბილისის 27-ე სკოლა). II ადგილი წილად ხვდა ცხაკაიას 1-ლი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეს ვ. სანიკიძეს, რომელმაც I თანრიგის ნორმატივიც შეასრულა. ორივე მოჭადრაკემ 6-6 ქულა მოაგროვა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდა აივაზიშვილს. III იყო ნავთლუღის რკინიგზის მე-2 სკოლის მოსწავლე, პირველთანრიგოსანი ზ. ცინცაძე (5 ქულა).

გოგონებში ჩემპიონი გახდა თბილისის რკინიგზის 1-ლი სკოლის მოსწავლე მ. გაგნიძე (6,5). II-III ადგილები გაიყვეს ნ. მეგრელიშვილმა (ქუთაისი, რკინიგზის მე-12 სკოლა) და ნ. ცხაკაიამ (ცხაკაია, 1-ლი სკოლა-ინტერნატი) — 5-5 ქულა.

სამმა ნორჩმა მოჭადრაკემ შეასრულა II თანრიგის, ხოლო 11-მა — III თანრიგის ნორმატივი.

მ. შიშოვი,

ამიერკავკასიის რკინიგზის პიონერთა სახლის საჭადრაკო სექციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# იბრძვიან, იმარჯვებენ

მგზავრი ვაგონიდან ჩამოხტა, მოთამაშეებში გაერია, მერე სხვებმაც მიბაძეს, მემანქანემაც მიატოვა თავისი პოსტი და ბრძოლაში ჩაება. 300-მდე მობურთალი ტრიალებდა მინდორზე...

ერთ ეპიზოდსაც გიამბობთ. კვირაობით ჩვენი სოფლის ახლოს — გომის მთაზე ვიკრიბებოდით. უცოლოებსა და ცოლიანებს გვქონდა ლელობურთში ბრძოლა. ცოლიანების გუნდში ორი ჩვენებური მღვდელი გამოდიოდა. უცოლოები განგებ ვცდილობდით ბურთი რომელიმე მღვდელს „შეეკრა", და იწყებოდა სეირი. ჩვენს ღვთისმსახურს ბურთის წასართმევად გარს შემოვერტყმოდით. ის, რასაკვირველია, უომრად არ გვანებებდა და იყო ანაფორის წეწვა-გლეჯვა. ტანსაცმელშემოხეული „ლელობურთელი" ჩვენთან ერთად სიცილით კვდებოდა.

ეს ყველაფერი იმიტომ გიამბეთ, რომ წარმოდგენა გქონდეთ, რა პოპულარობით სარგებლობდა სპორტი ჩვენს სოფელში. და ახლაც არ გვინდა ვინმესთან შევრცხვეთ. ამიტომ იყო, რომ აქაურმა ახალგაზრდობამ ახალი საქმე ითავა და ფერხულში მეც, ეს მოხუცი კაციც კი ჩამაბეს. გამეცინა თქვენ რომ მკითხეთ, ინჟინერი ხომ არა ხართო? აქ ყველა თავისებური ინჟინერია, ყველას სურს ადრე მორჩეს მშენებლობა. სოფლის სპორტული ტრადიცია სხვაგვარად მოქცევის უფლებას არ გვაძლევს.

— ამჟამად როგორ მიდის შემოქმედელთა სპორტული ცხოვრება?

— მე პენსიონერი გახლავართ. აქ რომ მხედავთ, ეს ისე, მეხალისება, მეამაყება ეს სამუშაო და შინ რა გამაჩერებს. თორემ დღევანდელი ამბები აგერ ჩემმა შემცვლელმა, ჩემმა ვაჟმა გივიმ უკეთ იცის. გამოგიტყდებით: ერთი დავალება მივეცი ჩემს შვილს — ისე არ მომკლას, ჩვენს რაიონში შემოქმედელი ფეხბურთელების ჩემპიონობას არ მომასწროს.

გივი დუმბაძე ფიზკულტურის ოთახში შეგვიძღვა...

### რაზე ოცნებობენ ჯილდოები

— სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელი ოთხჯერ დავიმსახურეთ, — გვითხრა შემოქმედელ ფიზკულტურელთა თავკაცმა. — აღებულ ვალდებულებათა ვადამდე განაღდებისთვის 5 წლის განმავლობაში „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ალმებს ვიღებდით. ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივი სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მონაწილეც კი იყო. ერთხანს, ბჟუჟზე ხიდი რომ ააგეს და სტადიონისა და სპორტმოედნების ადგილზე ახალი საშუალო სკოლის მშენებლობა დაიწყეს, ხელი შეგვეშალა. მაგრამ ეს დროებითი ამბავია. მალე მწყობრში ჩადგება ახალი, კეთილმოწყობილი სტადიონი ტრიბუნებით, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებით. აიგება საცურაო აუზიც, რომელიც ბჟუჟის წყლით მომარაგდება.

— არ იფიქროთ, — ამბობს გივი დუმბაძე, — რომ ახლა ხელდაკრეფილი ვისხდეთ. ჩვენს კოლმეურნეობაში 290 ფიზკულტურელია. გვყავს რაიონის ჩემპიონები და რეკორდსმენები. ნაყოფიერად მუშაობენ ძალოსნობის, სროლის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და, რასაკვირველია, ფეხბურთის სექციები. ახლა ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს სხდომა გვაქვს დანიშნული. ხედავთ, მოვიდნენ კიდეც ჩვენი აქტივისტები. ეს მოწინავე მძღოლი, ფეხბურთელი რობერტ ლომაძე გახლავთ. ის — კალათბურთელი ციური სიამაშვილი, რაიონის ჩემპიონი მძლეოსნობაში. აი, ის გოგონა ფრენბურთელი ნუნუ სირაძეა, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ფრენბურთელი დალი შუბლაძე, ძალოსანი ტარიელ ერქომაიშვილი...

მათ ბჭობას რომ ვუსმენდი, დავრწმუნდი, — შემოქმედელები მარტო საკოლმეურნეო მინდვრებზე როდი შრომობენ გმირულად, ისინი ფიზკულტურისა და სპორტის დიდი ენთუზიასტებიც არიან. თუ ასე გაგრძელდა, უთუოდ ამ მხრივაც დაჯაბნიან თავიანთ უკრაინელ მეგობრებს — გენიჩესკის რაიონის სოფელ ახალი გრიგორიევსკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდებს, რომლებთანაც სოციალისტური შეჯიბრება გაუჩაღებიათ.

ზ. ჯაფარიძე.

(ჩვენი სპეც. კორ).

მახარაძის რაიონი.

ტ. პეტროსიან — ბ. სპასკის მატჩის წინ

# სამი დიდოსტატის აზრით...

ამას წინათ „ლელოს“ კორესპონდენტი, ოსტატი ა. გელერი ლენინგრადში შეხვდა გამოჩენილ საბჭოთა დიდოსტატებს ვ. კორჩნოის, მ. ტაიმანოვსა და ა. ტოლუშს და სთხოვა მათ გამოეთქვათ აზრი პეტროსიან — სპასკის მატჩის თაობაზე. მოგვყავს ამ მოჭადრაკეთა საუბარი.

**დიდოსტატი ვ. კორჩნოი:**

— ბოლო ორი წლის მანძილზე სპასკიმ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონის ამ დროის ნამსახურობის ნუსხა უფრო მკრთალია. თუ ამის საფუძველზე ვიმსჯელებთ, დღეისთვის უპირატესობა პრეტენდენტის მხარეზეა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მატჩებს მსოფლიო პირველობაზე თავისი სპეციფიკა აქვთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ განწყობას. პეტროსიანი უფრო გამძლეა და ამიტომაც უფრო შეუპოვარი გახლავთ, ვიდრე მისი მეტოქე. ტყუილად კი არ უწოდებენ მას „რკინის ტიგრანს“. ეს გარემოება, ჩემი აზრით, ათანაბრებს მეტოქეთა შანსებს. ამ მატჩის თავისებურება ის არის, რომ მასში ვერ ვხედავთ უფროსი თაობის წარმომადგენელს.

თუ გავითვალისწინებთ ორივე მეტოქის მაღალ ტექნიკას, მოსალოდნელია, რომ ბრძოლა უფრო დაძაბული იქნება, ვიდრე ბოტვინიკ—პეტროსიანის შეხვედრაში იყო. მე მგონია შედეგიანი პარტია ცოტა იქნება: მატჩში გამარჯვებული, ალბათ, ხუთ პარტიაზე მეტს ვერ მოიგებს. „ლელოს“ მკითხველებს, ცხადია, აინტერესებთ პასუხი კითხვაზე: ვისი შანსებია უფრო მაღალი? ჯერჯერობით პეტროსიანს ხელს აძლევს საყაიმო ანგარიშიც.

**დიდოსტატი მ. ტაიმანოვი:**

— უპირველეს ყოვლისა, ჩემი აზრით, მეტოქეთა შანსები თანაბარია. ჭადრაკის ბევრ მიმომხილველს მიაჩნია, რომ მატჩი მოსაწყენი იქნება,—ბევრი პარტია ყაიმით დამთავრდებაო. არ ვეთანხმები ამ შეხედულებას. ბრძოლა მეტად მიმზიდველი და საინტერესო იქნება. თავის დროზე წინასწარმეტყველებდნენ, რომ სპასკისა და ტალის შეხვედრა ბობოქარი იქნებოდა, მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა. მატჩმა მშვიდად ჩაიარა.

პეტროსიან—სპასკის „დუელი“, ჩემი აზრით, მოგვაგონებს ბოტვინიკ—სმისლოვის შეჯიბრებას. ბოტვინიკის სტილში ითამაშებს სპასკი. მატჩში, ალბათ, 23-24 პარტია გათამაშდება.

ორთაბრძოლისადმი მომზადების მხრივ უკეთესად გამოიყურება პეტროსიანი. მისი მწვრთნელები ი. ბოლესლავსკი (დებიუტი), ა. სუეტინი (შუა თამაში) და ი. ავერბახი (ენდშპილი) დიდი თეორიული ცოდნით არიან აღჭურვილი. მაგრამ პრაქტიკული მომზადების მხრივ პრეტენდენტს უკეთ აქვს საქმე: „უმაღლეს დონეზე“ მან 29 პარტია ითამაშა. „ლელოს“ მკითხველებს საიდუმლოდ გეტყვით, რომ ჩემი სიმპათიები მსოფლიო ჩემპიონის მხარეზეა. არ მინდა, რომ აღსრულდეს მ. ტალის წინასწარმეტყველება: მსოფლიოს ექს-ჩემპიონთა რიცხვი იმატებსო.

**დიდოსტატი ა. ტოლუში:**

— მატჩში შანსების 60-70 პროცენტი მსოფლიო ჩემპიონის მხარეზეა. ბრძოლა თანაბარი უნდა იყოს, თუ სპასკიზე უარყოფითი გავლენა არ იქონია მისმა მატჩმა ტალთან. ღრმად პოზიციური თამაში „გაგრილებაზე“, რომელსაც სპასკი მიმართავდა ტალთან, პეტროსიანთან ვერ მოუტანს წარმატებას, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონი ფლობს თამაშის უაღრესად მაღალ ტექნიკას. სპასკიმ ბრძოლა აუცილებლად კომბინაციურ ყაიდაზე უნდა წარმართოს. თუ ეს მან შეძლო, შანსებიც გათანაბრდება. თუ პირიქით მოხდა, პეტროსიანი იოლად გაიმარჯვებს.



მოტოკროსს სამართლიანად უწოდებენ გაბედულთა სპორტს. ამ საზეობის ასპარეზობაში მონაწილეთ ფინიშამდე მრავალი დაბრკოლების — ციცაბო აღმართების, ბუნებრივი ტრამპლინების, მკვეთრი მოსახვევების დაძლევა უხდებათ. დიდი სისწრაფით ქროლვისას ტრამპლინი სპორტსმენებს ხშირად რამდენიმე მეტრით ატყორცნის ჰაერში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ეს ფოტო, რომელიც თბილისელი მოსწავლის ა. გურასაშვილის მიერაა თბილისში გადაღებული, სსრ კავშირის პირადი პირველობის II ეტაპის დროს. „ნახტომშია“ ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ა. დეჟინოვი.

# მე მწამს სსრ კავშირის ნაკრებისა

ე. ერერა

შესაძლოა არ დამეთანხმონ, მაგრამ მე სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტთა რიცხვს მივაკუთვნებ, ვინაიდან ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა ოლიმპიურ თამაშებსა და ევროპის ჩემპიონატებში.

საბჭოთა ნაკრების სიძლიერე მაღალი კლასის მოთამაშეთა სიმრავლითაა განპირობებული. ამ ფეხბურთელებს ამავე დროს საუცხოო ფიზიკური მომზადება აქვთ, რაც მათ 90 წუთის განმავლობაში ფანტასტიკური ტემპის შენარჩუნების საშუალებას აძლევს. დაბოლოს, საბჭოთა გუნდს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოსვლის უდიდესი სურვილი აქვს, ამიტომ იგი ყოველ მატჩს მაქსიმალური მონდომებით ატარებს.

საბჭოთა ფეხბურთელები ცალკეულ მოთამაშეთა ეფექტურ მოქმედებას კოლექტივის ინტერესებს არ უპირისპირებენ. ეს მეტად ძვირფასი თვისებაა. სამწუხაროდ, მათ აკლიათ შთაგონება და ფანტაზია. საბჭოთა ნაკრების წევრებს მეტი იმპროვიზაციით თამაში რომ შეეძლოთ, მათ ვერავინ დაამარცხებდა.

მათი ტექნიკა უმაღლეს დონეზე არ დგას. სამაგიეროდ, რაც კი აქვთ, ყოველივე ამას ძალზე რაციონალურად იყენებენ. ყველას შეუძლია ორივე ფეხითა და თავით თამაში. თავისი შესაძლებლობა და უნარი საბჭოთა ნაკრებმა ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრაში გამოავლინა, როდესაც 0:2-ს შემდეგ საპატიო ფრეს მიაღწია. ეს წარმატება სსრ კავშირის ფეხბურთელთა მაღალ ფიზიკურ მომზადებასა და ტემპერამენტზე მეტყველებს. ისინი თამაშის ყოველ სტადიაში ბრაზილიელებზე უფრო სწრაფები იყვნენ.

სსრ კავშირის ნაკრების ტაქტიკა არ არის ზუსტად გამოკვეთილი. იგი მეტწილად ბრაზილიურ სისტემას (4+2+4) მიმართავს, მაგრამ რომში „სკუადრა აძურას“ წინააღმდეგ (1:1) მან „მწმენდავის“ სისტემა გამოიყენა და მთლიანად უარყო ზონური პრინციპი, რაც აგრერიგადაა დამახასიათებელი ბრაზილიელთათვის.

საბჭოთა ნაკრებში უძლიერესი მოთამაშეა იაშინი, აბსოლუტური კლასის სახელგანთქმული მეკარე, თავისი ზონის სრულუფლებიანი „მეფე“. იგი ხშირად დამატებითი „მწმენდავის“ როლსაც ასრულებს. და თუ საბჭოთა გუნდის დაცვა ხშირად „ჰერმეტიულადაა ჩაკეტილი“, ამაში „ბრალი“, პირველ ყოვლისა, იაშინს მიუძღვის.

უდავოდ მაღალი კლასის ფეხბურთელია ვორონინი. ჩემი აზრით, მსოფლიო პირველობაში სწორედ ის იქნება უძლიერესი ნახევარმცველი. უმაღლესი კლასი, შესანიშნავი ორიენტაცია, მებრძოლის დაუღალავი სული — აი, რით გამოირჩევა ეს ფეხბურთელი. საჭიროების შემთხვევაში ვორონინი ჩინებულად იცავს კარს.

მარჯვენა გარემარბი მეტრეველი განუმეორებელია თავისი კლასითა და სისწრაფით. იგი მსუბუქად გადის მეტოქის დაცვას, მისი ყოველი ფინტი გარინჩას ფინტებს მოგვაგონებთ. საბჭოთა ნაკრებისთვის აღმოჩენაა ხმელნიცკი, რომელიც უფრო საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებს მესხის ადგილზე, ვიდრე ჰუსაინოვი.

გულახდილად უნდა გითხრათ, მიკვირს, რატომ არ ისმის არაფერი ივანოვზე, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრფორვარდად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ბანიშევსკის სახით ნაკრებმა ბრძოლისუნარიან და მრავალფეროვან ცენტრს მიაგნო (სწორედ მან გაიტანა პირველი კურიოზული ბურთი „მარაკანაზე“), ივანოვის ყოფნა ინგლისში სავალდებულოდ მიმაჩნია. მაგრამ არც ბანიშევსკია ნაკრებში უკონკურენტოდ. მას სასტიკ მეტოქეობას გაუწევს სტრელცოვი — საბჭოთა ფეხბურთის გუშინდელი იმედი.

მაშ ასე, ვიმეორებ: საბჭოთა ფეხბურთის ძალა კოლექტივიზმსა და მოქმედების ჰარმონიულობაში მდგომარეობს. ამას უნდა დავუმატოთ აბსოლუტური დისციპლინა და ურთიერთგაგება, რაც სწორ სპორტულ იდეოლოგიაზე მეტყველებს. ვფიქრობ, საბჭოთა ნაკრები ყოველმხრივ მომზადებულია ინგლისისათვის.

გაზეთი „პაეზე სერა“ (იტალია).

# თასი და პროგნოზები

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალის კენჭისყრამ უცხოური პრესის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ტრადიციისამებრ ასახელებენ ფავორიტებს. ამჯერად ასეთი ორია: იტალიის „ინტერნაციონალე“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“. ბელგრადის „პარტიზანი“ აუტსაიდერადაა გამოცხადებული, ხოლო მადრიდის „რეალის“ ფინალში გასვლა უმეტესობას საეჭვოდ მიაჩნია. ბოლო მატჩი ბრიუსელის „ანდერლეხტთან“ „რეალმა“ მოიგო (4:2), მაგრამ სპორტული პრესა ამ გამარჯვების თანაავტორად ფრანგ არბიტრ ბარბერანს თვლის. ფიქრობენ, რომ მან „რეალის“ ხელმძღვანელობისგან ქრთამი აიღო. „ანდერლეხტმა“ უეფა-ს პროტესტით მიმართა, მაგრამ უშედეგოდ (ხელმოსაკიდი ფაქტების უქონლობის გამო). ბელგიური პრესა ბარბერანს ბრალს სდებს, რომ მან ესპანელთა უხეშობას ყურადღება არ მიაქცია, ხოლო წვრილმანისთვის მინდვრიდან გააძევა ბელგიელი კორნელისი, აჩუქა ესპანელებს პენალტი და თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი გოლი ჩაუთვალა „რეალს“.

ასეა თუ ისე, „რეალი“ ნახევარფინალშია და უნდა შეხვდეს „ინტერნაციონალეს“. „რეალი“, მართალია, გაახალგაზრდავდა, მაგრამ ძველი ბრწყინვალება დაკარგა. როცა „მირუარ დიუ ფუტბალის“ კორესპონდენტმა „რეალის“ მწვრთნელს მ. მუნიოსს ჰკითხა მისი გუნდის ასეთი დაქვეითების მიზეზი, მუნიოსმა მიუგო: „რეალმა“ ვერაფრით ვერ იპოვა მსოფლიო კლასის ვარსკვლავი. იგი მაყურებლის დასატკბობად კი არ გვინდა, არამედ მხოლოდ გუნდის ინტერესებისთვის. არ არსებობს დიდი გუნდი დიდი ვარსკვლავის გარეშე. ესპანეთში უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ამჟამად არ არიან. არის ლუის სუარესი, მაგრამ იგი იტალიაშია და მის გამოსასყიდად ჩვენ საკმარისი ფინანსები არა გვაქვს“. „რეალის“ კოზირი ამჯერად ნიჭიერი ახალგაზრდობაა — სტოპერი დე ფელიპე (21 წლის), ცენტრფორვარდი რამონ გროსო (21 წლის) და 20 წლის პარაგვაელი ხოზე ველასკესი. მართალია, გუნდში თამაშობენ ისეთი ოსტატები, როგორც 33 წლის ჰენტო, სერენა, ამანსიო, ზოკო და რუისი, მაგრამ მილანის „ინტერნაციონალეს“ წინააღმდეგ, კომენტატორთა აზრით, „რეალი“ ვერაფერს გახდება.

მეორე ფავორიტი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ამჟამად შესანიშნავ ფორმაშია. მის შემადგენლობაში თამაშობენ ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები), სტაილსი, რ. ჩარლტონი და კონელი (ინგლისის ნაკრები), ლოუ (შოტლანდიის ნაკრები), ბრენანი და დანი (ეირეს ნაკრები). უკანასკნელმა მოგებამ „ბენფიკასთან“ (5:1) მანჩესტერელთა ავტორიტეტი უზომოდ გაზარდა. ფეხბურთის ზოგიერთ სპეციალისტს „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოს უძლიერეს გუნდად მიაჩნია.

აი, მოკლედ ის კომენტარები, რომლებიც მოჰყვა ნახევარფინალის კენჭისყრას. 13 აპრილს ჩატარდება პირველი მატჩები, ერთი კვირის შემდეგ — საპასუხო შეხვედრები.

## „ჩელსი“ ნახევარფინალში

სამშაბათს ლონდონში ადგილობრივი „ჩელსი“ ბაზრობათა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა გფრ-ის „მიუნჰენ 1860“-ს (პირველი მატჩი მიუნჰენში დამთავრდა ფრედ —2:2).

პირველ ნახევარში ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა. მხოლოდ 79-ე წუთზე დაამთავრა ტამბლინგის მიერ წამოწყებული კომბინაცია შესანიშნავი თავური დარტყმით მატჩის გმირმა ოზგუდმა — 1:0.

ამ ერთადერთი გოლის წყალობით „ჩელსი“ ნახევარფინალში გავიდა, სადაც შეხვდება ესპანეთის „ბარსელონას“.

(საქ. ინფ.).






▲ პრეირი-ვიუ (აშშ, ტეხასი), 29 მარტი. „სამხრეთ ტეხასის“ უნივერსიტეტის გუნდმა ა. ბრისტოლის, რ. პიკსის, დ. დუნკანისა და ჯ. ჰაინსის შემადგენლობით ესტაფეტა 4×110 იარდი წრეზე გაირბინა 39,9 წამში და გაიმეორა 2 წლის წინათ ავსტრალიის ნაკრების მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი. ამერიკელ სტუდენტთა შედეგი მსოფლიოს უმაღლესი მიღწევაა საკლუბო გუნდებისთვის.

# გაიმარჯვა კ. კლეიმ

გუშინწინ ტორონტოში (კანადა) გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობაზე: ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი ამერიკელი ათლეტები კ. კლეი და გ. ჩუვალო.

მე-9 რაუნდში ჩუვალომ ძლიერად დაარტყა კლეის, მაგრამ ამ უკანასკნელმა საბოლოოდ მაინც შეძლო ორთაბრძოლის ქულებით მოგება.

შეხვედრის შემდეგ კლეიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი უახლოესი მეტოქე იქნება ინგლისელი ჰ. კუპერი, რომელიც მას ჩუვალოზე ძლიერ მოკრივედ მიაჩნია. (საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

## თბილისის სპორტული ამბავი

**ჭადრაკი.** საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბი (ლენინის ქ. № 14). 31 მარტი-11 აპრილი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დღეს — XI ტური, ხვალ — XII. დასაწყისი 17 ს.

**კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა.** ლენინის სახელობის სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). 31 მარტი-2 აპრილი. თბილისის პირველობა ახალგაზრდა ათლეტთა შორის. დასაწყისი 18 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს“ სტადიონი. 2 აპრილი. ამხანაგური შეხვედრა „ა“ კლასის გუნდებს შორის. „დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს.

საქართველოს სპორტკავშირისა და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. სიხარულიძეს მისი სიძის ალიოშა ილიას ძე ბერიშვილის გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05895